თანხმობა

14.06.2022

ქ. თბილისი

შპს „მირა“ (ს.კ 202218698) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნიორიძის (პ/ნ 54001003886) სახით, თანხმობას ვაცხადებ მასზე, რომ შპს „ფინბიურო“-მ (ს.კ 419995599), რომელსაც აქვს იჯარით აღებული ფართი მდებარე ქალაქი თბილისი, ქუჩა წყალტუბო , N 6; N 8; N 10;, ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.04.020.047.01.02.502, განახორციელოს შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების მოწყობა და აბრებისა და რეკლამების განთავსება.

შპს „მირა“-ს დირექტორი

ზაზა ნიორიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220721942
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გვანცა_კვაცაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული)
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 01 34 34
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	14850012415422

ორი ათას ოცდაორი წლის თოთხმეტ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს გვანცა კვაცაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული), მომმართა: ზაზა ნიორაძემ. მან წარმოადგინა თანხმობა ერთ ეგზემპლარად და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ერთი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.
მე შევამოწმე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზაზა ნიორაძემ (დაბადებული 17.02.1963წელს, პ/ნ 54001003889, პასპორტი 15BB75530, გაცემული: 21.11.2016წელს, იუსტიციისს ამინისტროს მიერ, მისამართი: თბილისი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N 12ა კორ. 1 ბ. 30) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.
ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს თანხმობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე, ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ ხელმომწერი პირის ხელმოწერის ნამდვილობას წარმოდგენილ დოკუმენტზე, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ თანხობას.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ ჯამში:4.00 /ოთხი/ ლარი, აქედან: 2.00/ორი/ ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, პლუს: 2.00 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39 მუხლისა.

ნოტარიუსი: გვანცა კვაცაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

ქ. თბილისი

03.06.2022

შპს „ფინანსური სერვისი“ (ს.კ 202218698) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ოთხმეზურის (პ/ნ 01010014625) სახით, თანხმობას ვაცხადებ მასზე, რომ შპს „ფინბიურო“-მ (ს.კ 419995599), რომელსაც აქვს ქვეიჯარით აღებული ფართი მდებარე ქალაქი თბილისი, ქუჩა წყალტუბო , N 6, ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.04.020.047.01.02.502, განახორციელოს შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების მოწყობა და აბრებისა და რეკლამების განთავსება.

შპს „ფინანსური სერვისი“-ს დირექტორი

ვახტანგ ოთხმეზური

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220658441
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გვანცა_კვაცაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული)
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 01 34 34
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	90620281683922

ორი ათას ოცდაორი წლის სამ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს გვანცა კვაცაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული), მომმართა: ვახტანგ ოთხმეზურმა. მან წარმოადგინა თანხმობა ერთ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავისი ერთი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.
მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვახტანგ ოთხმეზურმა (დაბადებული : 15.09.1985 წელს, პირადი ნომერი 01010014625, მისამართი: თბილისი ვ.თოფურიძის ქ. N 18 ბ. 47) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.
ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს თანხმობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე, ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წარმოდგენილ თანხმობას.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: სულ ჯამში: 4.00 /ოთხი/ ლარი, აქედან: 2.0/ორი/ ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, პლუს: 2.00 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39 მუხლისა.

ნოტარიუსი: გვანცა კვაცაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქვეიჯარის ხელშეკრულება №Lease-FB 1/11/21/1

ქ. თბილისი

1 ნოემბერი 2021 წ.

ერთი მხრივ, შპს **„ფინანსური ბიურო“** (ს/კ 419995599 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №10) წარმოდგენილი დირექტორის დავით აღსაბაძის სახით (შემდგომში ,,ქვემოიჯარე“)შევთანხმდით შემდეგზე:

მეორე მხრივ, შპს **„ფინანსური სერვისი“** (ს/კ 405311318 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ.ალექსიძის ქ. N5, ბინა 49) წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ოთხმეზურის სახით სახით (შემდგომში ,,ქვემეიჯარე“)შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე მის მიერ იჯარით მიღებულ უძრავ ნივთს გადასცემს ქვემოიჯარეს დროებით სარგებლობაში.

1.2. ქვემოიჯარისათვის სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ნივთის მახასიათებლებია:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.04.020.047.01.02.502**
- **მისამართი: ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ, N6**
- **შენობა ნაგებობის იჯარით გაცემული ფართი: 905.62.00 კვ.მ.;**

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. მოიჯარე ვალდებულია:

2.1.1. გადასცეს ხელშეკრულების საგანი ქვემოიჯარეს დროებითი სარგებლობის უფლებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათანავე;

2.1.2. გადასცეს ქვემოიჯარეს ხელშეკრულების საგანი შეთანხმებულ მდგომარეობაში;

2.1.3. ქვემოიჯარის მოთხოვნით წარუდგინოს ფართზე სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.2. ქვემოიჯარე ვალდებულია:

2.2.1. გამოიყენოს ხელშეკრულების საგანი დანიშნულებით;

2.2.2. მოუაროს ნივთს, დაიცვას უსაფრთხოების წესები, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული ნორმები;

2.2.3. გადაიხადოს საიჯარო ქირა;

2.2.4. ქვეიჯარით მიღებულ ფართობზე რაიმე ზიანის მიყენების შემთხვევაში, აღმოფხვრას მიყენებული ზიანი, მოიჯარესთან შეთანხმებით ნატურალური რესტიტუციით ან კომპენსაციით;

2.2.5. გაიღოს ხელშეკრულების საგნის მოვლის მიზნით საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები (ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნება, მიმდინარე შეკეთება);

2.3. ქვემოიჯარე უფლებამოსილია ქვეიჯარით მიღებულ ფართობში შეიტანოს გარკვეული ნივთები, რაც მისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ეს ნივთები უბრუნდება ქვემოიჯარეს.

2.4. მოიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ქვემოიჯარისათვის გადაცემული ფართობის დათვალიერება.

2.5. ქვემოიჯარეს არა აქვს უფლება ხელშეკრულების გადასცეს საგანი სხვა პირებს სარგებლობაში ან მფლობელობაში.

2.6. თუ ქვემოიჯარეს სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე სურს ქვეიჯარის შეწყვეტა, მაშინ მან მოიჯარეს უნდა შესთავაზოს მისაღები და გადახდისუნარიანი ქვემოიჯარე, რომელიც თანახმა იქნება სახელშეკრულებო ვადაში ამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით იყოს ქვემოიჯარე.

3. სახელშეკრულებო ვადა

ქვემეიჯარე _____

ქვემოიჯარე _____

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.
3.2. ქვეიჯარის ხელშეკრულება დადებულია 2021 წლის 1 ნოემბერს და მოქმედებს 2022 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

4. ქირა და მისი გადახდის წესი

4.1. ქვეიჯარისათვის ქირა შეადგენს თვეში 10 000.00 (ათი ათასი) დოლარის ექვივალენტს ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რის გადახდასაც განახორციელებს ქვემეიჯარე.
4.2. ქვეიჯარის პერიოდში ქვემოიჯარე საიჯარო საზღაურს იხდის ყოველთვიურად, ყოველი თვის 10(ათი) რიცხვამდე.
4.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქვეიჯარის საზღაურის ოდენობისა და გადახდის პირობები ცვლილებას ექვემდებარება მხარეთა შორის მიღწეული წერილობითი შეთანხმების არსებობისას;

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება წყდება სახელშეკრულებო ვადის გასვლის შედეგად.
5.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
5.3. მოიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
5.3.1. ქვემოიჯარე გაფრთხილების მიუხედავად აზიანებს ხელშეკრულების საგანს;
5.3.2. არადანიშნულებისამებრ (ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საქმიანობისათვის) იყენებს ხელშეკრულების საგანს;
5.3.3. ქვემოიჯარემ გადააცილა ქირის გადახდის ვადას.
5.4. ქვემოიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
5.4.1. მას არ გადაეცა ფართი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;
5.4.2. გადაცემის შემდეგ წაერთვა ქვემოიჯარით მიღებული ფართის სარგებლობის უფლება;
5.4.3. გაფრთხილების მიუხედავად მოიჯარემ არ აღმოფხვრა ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი, რომლის აღმოფხვრაც მას ეკისრება.
5.5. მხარეებს ენიჭებათ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილება, ამ უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შეწყვეტის თარიღამდე არანაკლებ სამი თვით ადრემხარისათვისწინასწარწერილობითიშეტყობინებისგაგზავნისგზით.ქვემოიჯარეამვადის განმავლობაში დაუბრკოლებლად აგრძელებს საიჯარო ფართით სარგებლობას და იხდის საიჯაროქირას.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისგან თუ ის გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოს აქტით და ა.შ)
6.2. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთვევაში, მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
6.3. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტხანს გაგრძელდა ან მისი დადგომისთანავე ცხადი გახდა, რომ მოქმედება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტხანს გაგრძელდება მხარეები წყვეტენ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობის საკითხს ხელშეკრულების ამგვარი მოშლის დროს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

7. დამატებითი პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

ქვემეიჯარე _____

ქვემოიჯარე _____

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი გარიგების დადებით.

7.3. ხელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების ან ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტის შედეგად, ქვემოიჯარემ მოიჯარეს უნდა დაუბრუნოს ფართი იმავე მდგომარეობაში, რაც მან მიიღო, ბუნებრივი ცვეთის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, მხარეებმა ერთმანეთის წინაშე უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა და არ შესრულებულა.

მხარეთა რეკვიზიტები

ქვემეიჯარე შპს ფინანსური სერვისი ს/კ 405311318 მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №5 ბ №49 დირექტორი ვახტანგ ოთხმეზური	ქვემოიჯარე შპს ფინანსური ბიურო ს/კ 419995599 მის: ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. 6, 8, 10 დირექტორი დავით აღსაბაძე

ქვემეიჯარე _____

ქვემოიჯარე _____